საქართ. მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—3 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 373

სამშაბათი, დეკემბრის 19
1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

ქალაქ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის თანამშრომლები აცნობებს ყველა ნათესავს და ნაცნობს, რომ არამიანცის საავადმყოფოში პარტახტიანი ტიფით გარდაიცვალა აღმასკომის გადასახადთა ბიუროს თანამშრომელი

გრამიტონ ვარლამის ძე

პაპიძე

ამოსვენების ადგილი საავადმყოფოდან დანიშნულია ოთხშაბათს 20 დეკემბრის დილით 12 საათზე, დაკრძალვა პეტრე-პავლეს ეკლესიაში იმავე დღეს.

219 2—1.

## გლეხი და სოციალიზმი

ცნობილია მარქსიზმის ყარყუმითი დამოკიდებულება გლეხობისადმი. მარქსისტული გაგებით გლეხობა გაუსწორებელი რეაქციონერი, ის როგორც მესაკუთრე ბურჟუაზიულ კლასს ეკუთვნის და მაშასადამე ანტაგონისტურ განწყობილებაშია პროლეტარიატისადმი; სოციალიზმი გლეხისათვის სრულიად მიუღებელია. ცნობილია ასეთი მარქსისტული გამოთქმები: სანამ გლეხის თავი ფაბრიკის ქვაბში არ გამოიხარშება, მანამ ის სოციალიზმს ვერ შეიგნებს; ან კიდევ: გლეხი ისე ვერ შეედრება პროლეტარს, როგორც ბაყაყი ცისარტყელასო და სხვა ამგვარი მარგალიტები.

ჩვენი შეხედულება გლეხობაზე არსებითად განსხვავდება მარქსისტებისაგან ჩვენ გლეხობაში ვხედავთ ორ უმთავრეს კატეგორიას: წვრილ გლეხობას და მსხვილს. პირველნი საკუთარი შრომით ირჩენენ თავს, მეორენი კი დაქირავებულ შრომასაც მიმართავენ, ე. ი. ექსპლოატატორების როლში გამოდიან, მუშებს ყვლეფავენ. ამიტომ ეს უკანასკნელი, მსხვილი გლეხობა ეკუთვნის ექსპლოატატორთა კლასს, ბურჟუაზიას და წინააღმდეგია სოციალიზმის. წვრილი გლეხობა კი, პირიქით, არაფერს არ დაჰკარგავს სოციალიზმის დამყარებით და ის ერთი ათად გაიუმჯობესებს თავის პირობებს. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ კერძო საკუთრების გრძნობა არ არის გადაულახავი დაბრკოლება წვრილი გლეხისათვის და სათანადო აგიტაცია პროპაგანდით შესაძლებელია გლეხობის ეს ნაწილიც ჩავაბათ სოციალიზმისათვის რევოლიუციონურ ბრძოლაში.

მარქსისტებს არც ჩვენი სჯეროდათ და არც იმ ფაქტისა, რომ საქართველოს და რუსეთის წვრილი გლეხობა მასიურად სოციალისტურ პარტიებს ემხრობოდნენ: აქ სოც.-დემოკრატებს და რუსეთში სოც.-რევოლიუციონერებს. ამიტომ სოც. რევოლიუციონერები იქ წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიად გამოაცხადეს სოც. დემოკრატებმა, თუმცა აქ მათი პარტია ისეთივე ელემენტებისაგან შესდგებოდა უმთავრესად, როგორც რუსეთში სოც. რევ. პარტია.

ბოლშევიკები უფრო სასტიკად იცავდნენ მარქსიზმსა და წინააღმდეგნი იყვნენ პარტიაში არა პროლეტარული ელემენტების დაშვებისა. ეს შეეხებოდა წვრილ მესაკუთრე გლეხებს. ოქტომბრის რევოლიუციის განვითარებამ ძალიან ცვლილება შეიტანა ამ შაბლონურ მარქსიზმში. როგორც ვიცით, ბოლშევიკებმა ჯერ მიიღეს ევროპის პროლეტარიატის ორიენტაცია იმ იმედით, რომ ევროპის პროლეტარიატი უფრო დაუჭერდა მხარს სოციალისტურ რევოლიუციაში რუსეთის პროლეტარიატს, ვინემ რუსეთის წვრილი გლეხობა. მაგრამ ბოლშევიკებს გაუმტყუნდათ ეს იმედი და იძულებული გახდენ პირი ებრუნებინათ ისევ ათვალისწინებულ რუსეთის ღატაკ გლეხებისაკენ. ჯერ დაიჭირეს ორიენტაცია ღატაკ გლეხობისა (ориентация на бедноту), მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ ესეც არაა საკმარისი რევოლიუციის გამარჯვებისთვის და დაინახეს, რომ საშუალო გლეხიც ემხრობა რევოლიუციას, მხოლოდ მაშინ აიღეს საშუალო გლეხის ორიენტაცია.

ასე თანდათანობით, დიდი ბრძოლა-გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკები დარწმუნდნენ შაბლონური მარქსიზმის უვარგისობაში. არც შეიძლებოდა სხვა როგორ ყოფილიყო, ვინაიდან წვრილმა გლეხობამ საქმით დაამტკიცა ოქტომბრის რევოლიუციისადმი ერთგულება.

ჩვენ აღვნიშნავთ ამ ცვლილებას ძველ მარქსიზმის შეხედულებაში მით უფრო, რომ კომინტერნის მე 4 კონგრესზედაც დაისვა ეს საკითხი და როგორც ამხ. ზინოვიევი ამბობს: „კონგრესმა უარყო ეს შაბლონური მარქსიზმი, რომელიც მიჰყვება „ძველ კურთხეულ“ სოციალ-დემოკრატიულ ტრადიციებს და რომლის თანახმად კომუნისტები მაინცა და მაინც არ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი გლეხობითაო“. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ყველა გლეხი ერთნაირი არაა და განსხვავდებიან ქარხნის მუშებისაგან.

## ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი შემადგენლობა

ვაქვეყნებთ ამიერ-კავკასიის პირველ ყრილობაზე არჩეულ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წევრების და კანდიდატების სიას.

წევრები: ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, ა. მიასნიკოვი, ნ. ნარიმანოვი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, შ. ელიავა, მ. ორახელაშვილი, ალიმალი ოღლი, გ. მუსაბეკოვი, ს. ამბარცუმიანი, ბ. მდივანი, ს. ლუკაშინი, იაკუბოვი, ა. გეგორიოვი, მ. ჩოდრიშვილი, ა. ყარაევი, გაია, ე. სტურუა, გ. ხანბუდაგოვი, ს. კასიანი, მ. ოკუჯავა, კასუმოვი, ავისი, ს. ქავთარაძე, ა. ვრაჩევი, კულიევი, ა. კარინიანი, ს. გეგეჭკორი, ბაგიროვი, ა. მრავიანი, ა. ნაზარეტიანი, ლ. დუმბაძე, ჩ. ახუნდოვი, ა. შახსუვაროვი, ბ. ლომინაძე, მირზოიანი, ა. იოანისიანი, მ. კახიანი, ვ. კრილოვი, ა. კარაკოზოვი, ყურბანოვი, მ. გუსეინოვი, დ. შავერდოვ, რატნერ, ქოჩიკაშვილი, ა. სერებროვსკი, ა. ერზიკიანი, კონშინი, ე. კვანტალიანი, შ. ამირხანიანი, დ. პოლუიანი, ლ. დოდომბერიძე, კარაკაშ, პლეშაკოვი, ლ. ქავთარაძე, ი. ვარკიკის, ა. ბაბტიან, გინსბურგ, აბილოვი, ა. ტოდორსკი, ალი-ტაგიზადე, გორობჩენკო, ა. შახგელდიან, ივანოვ-კავკაზსკი, გ. სულთანოვი, ტერ-სიმონიანი, ლ. სუხიშვილი, პოროშინი, ავაკიანი, პ. ჩაგინი, ს. მამულია, შაჰანოვი, თადევოსიანი, ვაცეკ, ა. გიორგაძე, მირზაბეკიანი, ვ. მამიკონიანი, შეკინსკი, ტალიბლი, დ. ლორთქიფანიძე, სულთანოვა, ხანუმ, ბარბალე ჯაფარიძე, ცატუროვი, რზაევი, მარიამ ორახელაშვილი, ა. შავერდოვი, ტ. ალიევი, ლაკობა, ა. ივანიანი, შედნოვი, პ. ხიმშიაშვილი, ი. კასიმოვი, ს. ვართანიანი, ა. ჯაბიევი, სოროკინი, ვ. დევდარიანი, ჩეპლინი, ნემერზელი, ბალახლინსკი, ა. ერქომაიშვილი, ალი მამედოვი, ს. მოგილევსკი, ს. ტაკოევი, ისაიკინი, მ. გაჯანსკი, თ. დიასამიძე, ისკანდეროვი, ვირაპი, აქირთავა, ი. ტაიროვი, პანკრატოვი, ა. ქავთარაძე, ავჟანოვი, გ. ათაბეგოვი, ფორამიშვილი, მამედხანოვი, თუმანოვი, ა. დოლიძე, ნ. აბაზოვიანი, ს. ბაგდატიევი, ალგაროვი, აგაევერდი, რაგიმოვი, ბ. მიხაილოვი, როდევა, კრილოვი (ბალახანსკი), ნ. სვანიძე, ჩხეიძე, მიხაილოვი, ლიუევა, ნიკოშინი, აგაევერდიევი, ამატუნი, გუტნი, ვაშაძე, რუმიანცევი, ნ. წულუკიძე, კადირლი, ქაჯაია, ლ. სვირიდოვი, კოკაევი, თ. ელენტი, თ. ლლონტი, გეიდენი, მატკევიჩ, ს. კუხალეიშვილი, მ. ვეზენდიევი; სულ ას ორმოცდა ათი წევრი.

კანდიდატები: პადერინი, პოზდეევი, ზარა ალიევი, ავაკიანი, კოვალი, ბახუტოვი, ო. ნადიევი, ბელოვი, კუპაიძე, ოდიშელიძე, პოლოსიანი, თაქთაქიშვილი, ფ. ალიევი, ანსოდლიანი, სპანდოვინი, ტოროშელიძე, ჩიკარიოვი, მეგრაბიანი, საროჩევა, მიაკინი, თასუმოვი, ანციანური, შახბაროვი, ტაგი, გევონიანი, გოლდბაუმი, სტეფანოვი, ვედია, ხაჩიევი, კანდელაკი, ბელენკი, მოწყობილი გუსეინოვი, ბაქუნცი, მოწონელიძე, ნადირბიანი, ტაბტოიანი, ტ. ბეგუშხაროვი, დ. შამსადინსკი, კუზნეცოვი, კრემლიანკი, ზეინალოვი, ვ. ვაშაკიძე, დოვლათიანი, ამირ ასლანოვი, მაკაროვი, ს. ელენტი, ტაჩიევი, მინასიანი, გაბესკირინი, რ. იზმაილოვი; სულ ორმოცდა ათი კანდიდატი.

## სპეკულიაციის სიმღერა



დეკემბრის 15-ს.

ოქროს ვენაცვალები
გამიწითლა თვალები!

დეკემბრის 16-ს.

ვაი, ვაი, ვაი! ეს რა არის,
რა ცუდია, ჩვენი დროოო...

## ზოგი რამ

### ქართული ოპერის ბედი.

გასულ დღეებში გაზეთმა გვაუწყა, სახელმწიფო ოპერის გამგეობას განუზრახავს ევროპული ზოგიერთი კლასიკური ოპერა (დემონი, ფაუსტი, კარმენ სევილიელი დალაქი, ფიგაროს ქორწინება და სხვა) ქართულად დასდგასო. როგორც მკითხველს მოეხსენება, ხსენებული ოპერები კერძო თაოსნობით უწინაც დადგმული ქართულად და საკვირველი ის არის, რომ ეხლა ასე გვიან მოიგონეს, სიამოვნებით მივესალმებით სახელმწიფო ოპერის დირექციის კეთილ განზრახვას. სრულიად დაიმედებულნი, რომ სახელმწიფო ოპერის მესვეური ამხანაგები ალექსანდრე წუწუნავა და ვანო ფალიაშვილი გამარჯვებით დააგვირგვინებენ საქმეს, რომელიც თავს უდვიათ. სახელმწიფო ოპერის თეატრმა უნდა იხილოს თავის ზღუდეთა შორის შეკრებილი ქართველი პროლეტარობა ესთეტიკური სიამოვნების განსაცდელად.

ახლად აქვე წამოყენებულ უნდა იქმნეს საერთოდ საკითხი ქართული ოპერის ბედისა. თარგმნილი პიესების დადგმით ევროპიული მუსიკა უნდა გავრცელდეს ჩვენში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველი ხალხი შემოქმედია ისეთი ყოველ მხრივ მდიდარი (პოლიფონია, კონტრაპუნქტი) მუსიკისა, რომლის სიკეთეც საქვეყნოდ განთქმულია, ქართველმა საზოგადოებამ, თუმცა გვიან, ხელი მოჰკიდა მშობლიური მუსიკის შესწავლას და ჟამს მოევლინა რამდენიმე ხელოვანი მუსიკოსი, რომელთაც გაუხდიათ თავიანთ სპეციალ საქმედ სამუსიკო კომპოზიცია. მათი ნამუშევარია უკვე სახელ გაქვეყნებული ოპერები აბესალომ და ეთერი შოთა რუსთველის ამბავი ქეთო და კოტე, ლეილა, ხოლო წარმოსადგენია ზ. ფალიაშვილის ლამის თევაზე, ვ. დოლიძის ციხანა და მ. ბალანჩივაძის თამარ ცბიერი, ამას გარდა წარდგენილია სახელოვნო კომისიაში ალ. ფოროცხელაძის „მაია“ და რ. გოგნიაშვილის „დედაქურუმი ცეცხლისა“ და იწერება ზ. ფალიაშვილის მიერ „ვეფხვისტყაოსანი“ რომელიც სულ მოკლე ხანში დასრულდება, ორი მოქმედება ჯერ კიდევ ზაფხულში იყო მზად. ჩამოთვლილი მასალა ისეთი საგრძნობელია, რომ შეუძლებელია ქართული ხელოვნების მესვეურმა ანგარიში არ გაუწიოს. ამ შემთხვევაში მარტო მოწონება კი არაა კმარა, რომ ოპერა დაიდგას, არამედ ხელმძღვანელობაც უნდა, რომ თუ რამ ნაკლი ექმნა ახალ ოპერას, მისი გამოსწორება და გამოკვეთება თავს იდოს ოპერის დირექციამ; მაგალითად ავიღოთ „ქრისტინე“ ოპერა ახალგაზრდა კომპოზიტორის რ. გოგნიაშვილისა. ეს ოპერა ხმა საკრავ შეწყობილობით სუსტი აღმოჩნდა, მაგრამ თავისი მოტივით ძლიერ ახალი, როგორც მაჩვენებელი გარყვნილებისა, რომელიც ქალაქს შეაქვს სოფელში. სცენები ქრისტინეს გაპარვისა, როცა აკვნის ბავშვი უნდა დასტოვოს, ან მისი ორთაჭალის დიდ ოჯახში მოქცევისა, როცა კინწის კვრით შეაგდებენ კაბინეტში თავზარდამცემია, მაგრამ მუსიკალობით გაუშლელი. მაშასადამე შეიძლებოდა ზოგიერთ ადგილს ახალი სამუსიკო მდგომარეობის შექმნა, ზოგიერთგან კიდევ ძველი სუსტი მდგომარეობის გამოკვეთება. ერთი სიტყვით ხელმძღვანელობა არის საჭირო რომ ახალი ჯერ გამოუცდელი კომპოზიტორი საოპერო დირექციამ წააქეზოს, მფარველობა გაუწიოს, სწორედ ისეთივე თანამშრომლობა არის საჭირო, როგორც რედაქციაში. ქართულ რედაქციებს არც ერთი წვრილი მოსწავლის ისეთი, რომ პირდაპირ დასაბეჭდად გაჰგზავნოს სტამბაში, მაგრამ როცა დაინახავენ, რომ წერილის შინაარსი საინტერესოა, ენა წყალ წაღებული არ არის, გაასწორებენ და ისე გამოაქვეყნებენ. თუ რედაქცია ასე მოიქცევა ხოლმე, საოპერო დირექცია უფრო მოვალე არის, რომ სამუსიკო კომპოზიცია არ დაჰღუპოს, როცა მისი ხმასაკრავ შეწყობილება ცოტა საინტერესო მაინც არის. ალექსანდრე წუწუნავას ალღოს უნდა უმადლოდეს, რომ ვ. დოლიძის ოპერა „კეთო და კოტე“ არ ჩაჰკლა და დასდგა, თუმცა სახელოვნო კომისიამ დაიწუნა. მისი არტისტული გამჭრიახობის ბრალია, რომ საზოგადოება ყოველთვის სიამოვნებით ისმენს პირველ ქართულ კომიკურ ოპერას, ხოლო ვ. დოლიძე იმდენად წაქეზდა, რომ დღეს მესამე ოპერა წარუდგინა სახელოვნო კომისიისთვის განსახილველად. საოპერო რეპერტუარის შექმნის დროსაც ისეთივე თაოსნობა ჰმართებს ოპერის დირექციას როგორც დრამისას, რაც ამავე გაზეთის ფურცლებზე აღვნიშნე „ცხვრის წყაროს“ დადგმის გამო.

ქართული ოპერის საკითხი ამ ჟამად ისეთ მდგომარეობაშია, რომ შეუძლებელია კუდში გამოება უცხო ოპერას, უცხო ენით სამღერალსა, რომელიც ატკბობს სპეკულიანტებისა და ბურჟუა-ინტელიგენტების ყურთა სმენასა.

პეტრე მირიანაშვილი

## საზავო კონგრესი ჰააგაში

მოსკოვი. დეკ. 18. საზავო კონგრესზე ჰააგაში ბიუსონმა გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა დაცვის ლიგის მიერ მოწონებული და რომის პროფკავშირთა კონგრესის მიერ მიღებული რეზოლიუცია, ომის შემთხვევაში, საყოველთაო საერთაშორისო გაფიცვის გამოცხადების შესახებ.

საერთაშორისო სოციოლოგიური ინსტიტუტის პროფესორმა ტურინემ პროტესტი განაცხადა კონგრესზე ბოლშევიკების დასწრების გამო.

დიდი მღელვარება გამოიწვია რადეკის გამოსვლამ „თქვენსა და ბურჟუაზიულ პაციფისტებს შორის, სთქვა რადეკმა, მიმართა რა 2 და 2 ნახევარ ინტერნაციონალის წარმომადგენლებს,—ისეთივე უფსკრულია, როგორც თქვენსა და ჩვენც კომუნისტებს შორის. მიუხედავად ამისა თქვენ უკავშირდებით პაციფისტებს. განმეორებული წინადადებები ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ თქვენის მხრივ პასუხ გაუცემელი დარჩა მე სიამოვნებით ვღებულობ რომის კონგრესის რეზოლიუციას საყოველთაო გაფიცვის შესახებ. თქვენ მიერ ამ რეზოლიუციის მიღება იმის დამამტკიცებელია, რომ თქვენ იძულებული შეიქენით უარგეყოთ საკუთარი დოგმა სამშობლო დაცვის შესახებ. თუ ვიფიქრებთ რომ ეს ნაბიჯი სერიოზულად იქნა გადადგმული, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თქვენ გამოფხიზლების გზაზე დადექით, მე ვფიქრობ, რომ თქვენი რეზოლიუცია საყოველთაო გაფიცვის შესახებ არის ცარიელი ფრაზა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თუ გაამცინებს ბურჟუაზიას“.

კონკრეტიულ ღონისძიებათა სახით რადეკმა წინადადება წამოაყენა მოეწყოს პროპაგანდის კვირეული ლოზანის და ლონდონის კონფერენციებზე გამოაშკარავებულ საშიშროების წინააღმდეგ, 24 საათის საერთაშორისო გაფიცვის გზით.

კონგრესის სხდომაზე 14 დეკემბერს ვანდერველდემ იმ მიზნით რომ დაეფარა თავისი განზრახვა ერთიანი ფრონტის საბოტაჟის შესახებ: მოითხოვა ესერების პატიება. ომის შემთხვევაში საყოველთაო გაფიცვის მოწყობის შესახებ ვანდერველდემ განაცხადა, რომ ყოველ ერს უნდა ჰქონდეს თავდაცვის უფლება. აქედან გამომდინარეობს ბელგიის და საფრანგეთის უფლება რაინზე.

როტშტეინმა, რომელსაც ინგლისის დელეგატების ნაწილი მკვახე ტაშით შეხვდა, გამოაქვეყნა რუსეთის დელეგაციის წინადადების 14 მუხლი, რომელთა შორის ყველა უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი: დაარსება, სამხედრო საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად, საერთაშორისო კომიტეტის, რომელშიაც შევლენ სამი ინტერნაციონალის, წითელი პროფინტერნის და ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენლები, ზომების მიღება პროფესიონალურ ორგანიზაციებში განხეთქილების თავიდან ასაშორებლად, კამპანიის წარმოება „ობორონცების“ წინააღმდეგ. კოლონიების ადგილობრივ მცხოვრებთა ძალების დარაზმვა.

კონგრესმა მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ.

კონგრესი დაიხურა 15 დეკემბერს.

# ლოზანას კონფერენცია

**მოსკოვი.** 18 დეკ. საფრანგეთის პრესა აღიარებს, რომ მოკავშირეებისა და ოსმალეთის ექსპერტების მოლაპარაკების შემდეგ საკითხი სრუტეების შესახებ საბოლოოდ მოწესრიგებულია. ამავე დროს პრესა შიშს გამოსთქვამს იმის გამო, რომ ოსმალეთის საბოლოო პოზიცია განმტკიცებული იქნება მოსკოვის გავლენით. ისმეტ-ფაშის ანგორაში გამგზავრება, რომლის მიზანია ეროვნულ კრებისათვის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე მოხსენების გაკეთება საფრანგეთის პრესის აზრით გამოიწვევს სერიოზულ გართულებას.

— ლოზანას კონფერენციაზე ოსმალოებმა განაცხადეს, რომ ისინი შევლენ ერთა ლიგაში მხოლოდ ზავის ჩამოგდების შემდეგ.

— მოკავშირეები ცდილობენ საკითხს ეროვნულ უმცირესობათა შესახებ მისცენ დიდი მნიშვნელობა თუმცა სინამდვილეში მათი მთავარი ყურადღება ექცევა სრუტეებისა და მოსულის საკითხს.

— ინგლის დელეგაციის გეგმის მიხედვით ოსმალეთს ეძლევა ტერიტორიალური სუვერენიტეტი ირაკის ნავთიან ოლქებზე, რომელიც ამ ჟამად იმყოფება ერთა ლიგის მანდატის ქვეშ ასეთი გადაცვლა მოითხოვს ოსმალეთის თანხმობას ინგლისი ფიქრობს, რომ ოსმალეთის ერთა ლიგაში შესვლა შესაძლებლად გახდის რუსეთის გამორიცხვას საერთაშორისო საკონტროლო კომისიიდან.

— ინგლისის გაზეთები ესალმებიან იმ გამარჯვებას, რომელსაც მიაღწიეს მოკავშირეებმა ლოზანას კონფერენციაზე ეროვნულ უმცირესობათა საკითხში და ხსნის ამას მით, რომ კერზონს მხარი დაუჭირეს ფრანგებმა და იტალიელებმა.

— „ტანი" იტყობინება, რომ მოკავშირეები ამ ჟამად იმუშავებენ პრელიმინარულ ზავის პირობებს, რომელიც გადაეცემა ოსმალებს და ბერძნებს ხელის მოსაწერად.

— ინგლისის დელეგაციამ განუცხადა ოსმალებს, რომ მოსულის ბედი უნდა გადაწყდეს ანგორისა და ირაკის მთავრობის შორის უშუალო მოლაპარაკების გზით,

ამერიკის დელეგატმა ჩაილდმა გადასცა კონფერენციას საპროტესტო ნოტა სტამბოლიდან საბერძნეთის პატრიარქის გაძევების გამო.

### მშვიდობიანობის პერიოდი.

**ლონდონი.** 17 დეკ. ინგლისის პრესის ცნობით. ლოზანას კონფერენციაზე მოლაპარაკება ამ ჟამად მიმდინარეობს მშვიდობიანად და წესიერად. ზოგიერთ ქვეკომისიაში მოლაპარაკებას მოაქვს დადებითი შედეგები; ეროვნულ უმცირესობა კომისიაში განსახილველად შეტანილია 10 მუხლებისაგან შემდგარი პროგრამა, რომელთა შორის ოსმალებმა 6 მუხლი უკვე მიიღეს. ოსმალეთის დელეგაციამ მიიღო მუხლები, რომელიც შეეხებიან ამნისტიას, მიმოსვლას თავისუფლებას, უმცირესობათა პოლიტიკურ და რწმენის თანასწორობას და განმანათლებელ და ფილანტროპიულ დაწესებულებათა თავისუფლებას. საერთო განწყობილება ოპტიმისტურია.

### საკითხი მოსულის ოლქის შესახებ.

**ლონდონი,** 17 დეკ. ინგლისის პრესის ცნობით, ისმეტ-ფაშამ მიიღო ცნობა, რომ შეუძლებელია მოსულის ოლქის ან რომელიმე მისი ნაწილი ირაკის სამეფოსაგან ჩამოართმევა. ისმეტ-ფაშამ მიუთითეს, რომ ამ ოლქში ოსმალთა მოსახლეობა უმცირესობას შეადგენს.

# უცხოეთი

### მდგომარეობა პოლონეთში.

### ნარუტოვიჩის მოკვლა.

**მოსკოვი.** 18 დეკ. კრაკოვში გაიმართა ნარუტოვიჩის პრეზიდენტად არჩევის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. დემონსტრაციები ჩატარდა შემდეგი ლოზუნგებით: „გაუმარჯოს მუსოლინის", „გაუმარჯოს გენერალ მალლერს".

ამავე დროს გაიმართა სოციალისტების დემონსტრაცია. ამ ორ დემონსტრაციის შორის მოხდა შეტაკება, რომლის შემდეგ აღმოჩნდა ორი დაჭრილი.

— ნარუტოვიჩის არჩევის შემდეგ სამინისტრო გადადგა.

— 16 დეკემბერს შუა დღით ნარუტოვიჩი მოჰკლეს. მსროლელი დააპატიმრეს, ის აღმოჩნდა მხატვარი.

— პრეზიდენტ ნარუტოვიჩის მკვლელმა ნევიადომსკიმ დაკითხვის დროს განაცხადა, რომ მას სურდა სისხლით მოებანა პოლონეთის შეურაცხყოფა, ვინაიდან ნარუტოვიჩი რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტია, რომელიც არჩეულია ნაციონალურ უმცირესობათა მიერ.

— მემარჯვენე გაზეთები გამოსთქვამენ მწუხარებას მკვლელობის გამო, რომელიც გამოწვეულია მხატვარ ნევიადომსკის თავდაუჭერლობითა და ფანატიზმით.

— პრეზიდენტის ფუნქციები მიიღო თავის თავზე სეიმის მარშალმა რატაიმ დროებითი კაბინეტის შედგენა მიენდო გენერალური შტაბის უფროსს სიკორსკის.

— გენერალური შტაბის უფროსად დანიშნულია პილსუდსკი, რომელმაც თანახმა დაუბრუნდეს სამხედრო სამსახურს. გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია ყოფილი ელჩი ბუხარესტში სკრჟინსკი.

კაბინეტის დანარჩენი შემადგენლობა არ შეცვლილა.

— გაზეთები იტყობინებიან, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევნები მოხდება 20 დეკემბერს.

— სეიმში მომხდარი ამბების გამო სასწრაფო შეკითხვების განხილვის დროს დაშინსკიმ განაცხადა, რომ დემოკრატიის ძირითადი უფლებები შელახულია და რომ ადმინისტრაციამ უმოქმედობა გამოიჩინა. გახრწნა მოედო თვით არმიასაც. პოლონეთის ფაშიზმი ან დაიღუპება დემოკრატიის გამარჯვებით ან პოლონეთში გაჩაღდება სამოქალაქო ომი.

— ვარშავის წითელმა პროფკავშირებმა 12 დეკემბერს მოიწვიეს მიტინგი, რომლის ჩაშლას ძლიერ ცდილობდენ პოლონეთის სოციალისტური პარტიის მომხრეები. რამოდენიმე ათი ათასი მუშების მოთხოვნილებით გამოიწვიეს კომუნისტი დეპუტატი ლანცუცკი, რომელსაც შეხვდენ საერთო ოვაციებით.

— 11 დეკემბრის ამბების დროს მოკლულ მუშის დასაფლავებას დაესწრო 40 000 მუშა. დასაფლავების მოწყობაში პოლონეთის სოციალისტურ პარტიასთან ერთად მონაწილეობას იღებდენ წითელი პროფკავშირები.

### მილანში.

**მოსკოვი.** 18 დეკ. მილანში მუნიციპალურ არჩევნების წინა დღით დააპატიმრეს კომპარტიის საარჩევნო კომიტეტი. წინასწარ საარჩევნო კომპანიის დროს დაპატიმრებულია 700 მუშა. მილანის პროლეტარიატის უმეტესობამ თავი შეიკავა არჩევნებში.

### სამხრეთ სლავია და იტალია.

**მოსკოვი.** 18 დეკ. ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ იტალიის ფაშისტები აწარმოებენ აშკარა სამხედრო მზადებას, რომელთაც სურთ იმით გამოუცხადონ სამხრეთ-სლავიას.

### კომუნისტებთან ბრძოლა სამხრეთ-სლავიაში.

**მოსკოვი.** 18 დეკ. სამხრეთ-სლავიის კომპარტიის ბელადს მარკოვიჩს მიუსაჯეს ორი წლის ციხე.

### კომუნისტური პროპაგანდისათვის.

**მოსკოვი.** 18 დეკ. რუსეთიდან ვენგრიაში დაბრუნებულ ევგენ კისს მიუსაჯეს მუდმივი ციხე ყოფილ სამხედრო ტყვეების შორის კომუნისტურ პროპაგანდის გაწევისათვის.

### დაწვრილებითი ცნობები ნარუტოვიჩის მოკვლის შესახებ.

**პარიზი.** 18 დეკ. პოლონეთის პრეზიდენტი ნარუტოვიჩი მოჰკლეს იმ დროს, როცა ის რამოდენიმე მინისტრის თანხლებით ათვალიერებდა ერთ-ერთ სურათს. მკვლელი, რომელიც შეეცადა გაქცეულიყო დააპატიმრა პრეზიდენტის ადიუტანტმა.

**ლონდონი.** 18 დეკ. გრაფ ნარუტოვიჩს მკვლელმა ესროლა სამჯერ.

### დროებითი პრეზიდენტი

**პარიზი.** 18 დეკ. პოლონეთის კონსტიტუციის თანახმად პოლონეთის სეიმის თავმჯდომარემ სატიუმა უნდა დაიკავოს ნარუტოვიჩის ადგილი და დაუყონებლივ მოიწვიოს სეიმი ახალი პრეზიდენტის არჩევნების მოსაწყობად. ასეთი მდგომარეობა მით უფრო ძნელია ამ ჟამად ვინაიდან პოლონეთში კაბინეტი არ არსებობს.

### ბერლინის პრესის აზრი

**პარიზი** 18 დეკ. ბერლინის პრესა აღნიშნავს, რომ გრაფ ნარუტოვიჩის მოკვლა იმას ამტკიცებს, რომ პოლონეთმა დღემდე ვერ შესძლო განემტკიცებინა თავისი შინაური პოლიტიკური მდგომარეობა.

### სამხედრო წესები.

**ლონდონი,** 18 დეკ. მთელ პოლონეთში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

### პილსუდსკის დიქტატურა.

**ლონდონი,** 18 დეკ. პილსუდსკის დაევალა კაბინეტის შედგენა დიქტატორული უფლებებით.

### ახალი პრეზიდენტი.

**პარიზი,** 18 დეკ. „გოლუა"-ს ცნობებით ოთხშაბათს მოხდება პოლონეთის ახალი პრეზიდენტის არჩევნები, ფიქრობენ, რომ პრეზიდენტად არჩეული იქნება გენერალი სიკორსკი, რომლის კანდიდატურა წამოყენებულია. პოლონეთის წყაროებიდან იტყობინებიან, რომ გენ. სიკორსკის პრეზიდენტად არჩევა უზრუნველყოფილია. სიკორსკი არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის.

### საკონტრიბუციო საკითხი და მოკავშირეთა ვალები.

### ამერიკის მონაწილეობა.

**ჰანნოვერი.** 17 დეკ. ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ გერმანიის ელჩი ამერიკაში ვიდფელდი მიწვეული იქნა სტატს-სეკრეტარი ხიუზის მიერ გერმანიის ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობის დაწვრილებით გასაცნობად. ვიდფელდმა მიუთითა ხიუზს იმ საშინელ შედეგებზე, რომელიც დაატყდება გერმანიას, თუ უკანასკნელს თავის დროზე არ აღმოუჩინეს დახმარება.

### მუსოლინის საკონტრიბუციო პროექტი.

**ჰანნოვერი.** 17 დეკ. რომიდან იტყობინებიან, რომ მუსოლინიმ შეიმუშავა ახალი პროექტი გერმანიის საკითხის შესახებ, მუსოლინი წინადადებას იძლევა შეუმცირდეს გერმანეთს გადასახადები 50 მილიარდამდე, მიეცეს მორატორიუმი 2 წლით და აგრეთვე მიეცეს სამი მილიარდის, რომლის გადახდა უნდა უზრუნველყოს გერმანიის მრეწველობამ.

# ახალი ამბები

### შრომის სახალ. კომისარიატში

— **ქალ. ტფ. შრომის ბირჟის მოქმედება ნოემბერში სექციების დაარსება.** ნოემბერში დასრულებულ იქნა შრომის ბირჟის პროფესიონალურ წარმოებულ კავშირთა სექციების საფუძველზე მოწყობისათვის წარმოებული მუშაობა. ამ ჟამად მასთან არსებობს 10 სექცია. სექციებს სათავეში უდგანან სათანადო პროფკავშირებიდან წარმოგზავნილი პასუხისმგებელნი მუშაკნი, რომელნიც მუშაობენ შრომის ბირჟის გამგის ხელმძღვანელობის ქვეშ და იმყოფებიან მჭიდრო კავშირში იმ პროფკავშირებთან, რომლებიდან ისინი მიმაგრებულია ხსენებულ სამუშაოზე.

— **უმუშევართა მოძრაობა.** ახლად ჩაწერილ იქნა 1893 უმუშევარი, აქედან 1088 მამაკაცია, ხოლო 805 დედაკაცი. შემოვიდა მუშა ხელზე 1823 მოთხოვნილება, გაიგზავნა სამუშაოზე 1846, რომლიდან 1372 მამაკაცი და 474 დედაკაცი, გაგზავნილთა რიცხვში არ არის სამსახურზე მიღებულია 59 კაცი. პირველ დეკემბრისთვის დარჩენილია 12037 უმუშევარი—ამათში 6485 მამაკაცი და 5552 დედაკაცი.

— **უმუშევრობისათვის დაზღვევა.** უმუშევართა დაზღვევის სექციამ მისცა 838 კაცს სექტემბრისთვის დახმარება, რომლისთვის გაიცა 396,025,000 მან.

— **უმუშევართა დაზღვევა.** 132 უმუშევარს მიეცა შეღავათიანი ტარიფით მოგზაურობის უფლება (ტფილისის გარეშე სამუშაოზე გაგზავნის გამო).

— **უწესრიგო დაქირავება მუშა ხელისა.** 43 წარმოებასა და დაწესებულებაში შემჩნეულ იქნა 84 შემთხვევა უმუშევართა შრომის ბირჟის გარეშე მიღებისა, აქედან მოხსნილი იქნა 12 კაცი და მათ ადგილას გაიგზავნა მორიგი უმუშევრები, მოხსნილია კიდევ 47 კაცი, ხოლო დატოვებულ იქნა ადგილზე 25 კაცი.

# მთავარ კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

(მე-2 სხდომა)

### საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

### მოხსენება ამხ. სიმონ ხუნდაძისა

ყოველივე ეს მოსაზრებანი ჩვენ იმას გვეუბნება, რომ საბჭოთა რესპუბლიკების თანამედროვე მდგომარეობა გარკვევით მოითხოვს მათ შორის მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას, სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიურ ძალების კოორდინაციას. ვისაც ეს არ ესმის და არ სურს მას არაფერი გაეგება თანამედროვე საერთაშორისო რევოლიუციონური ვითარების და ძალაუნებურად მის საწინააღმდეგო ბანაკში ამოყოფს თავს.

რესპუბლიკების დაკავშირებას მოითხოვს არა მარტო ეკონომიური აღორძინებისა და საბჭოთა სოციალ-პოლიტიკური მშენებლობის საჭიროება, არამედ უმთავრესად მათი საერთაშორისო მდგომარეობა, კაპიტალიზმს უნდა დაუპირისპირდეს კოორდინაციული რევოლიუციონური ძალა. ამის გარეშე შეუძლებელია გამარჯვება.

თვით კაპიტალისტურს ქვეყნებში შეუწყვეტელი ცდები არის იმპერიალისტურ სახელმწიფოების მთლიანი ფრონტის დაპირისპირებისა საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. კაპიტალიზმი ცდილობს პოლიტიკურ ნიადაგზე მაინც მოსძებნოს საერთაშორისო შესარიგებელი ნიადაგი და ყოველ მომენტში გაერთიანებული გამოვიდეს. ამის საუცხოვო ილიუსტრაციას წარმოადგენს დიდი და პატარა ანტანტის არსებობა, ერთა ლიგის სტატუტები და ის უამრავი კონფერენციები, რომლებიც იმართებიან ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე. მაგრამ ეს ფაქტები აგრეთვე იმასაც ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის გარდუვალი ინტერესთა წინააღმდეგობანი არის აღმოცენებული, რომლის ძლევა არ ძალუძს მათ ხანგრძლივად. კაპიტალიზმის ეკონომიურმა ტენდენციებმა და ომის შედეგებმა ისეთი პირობები შექმნეს მსოფლიოში, რომელიც ძირს უთხრის იმპერიალისტურ სახელმწიფოების სოლიდარობას. აქედან წარმოსდგა ის შეურიგებლობა და დაპირისპირება, რომელსაც ადგილი აქვს თვით ანტანტის მოკავშირეთა შორის ეს გარემოება ძლიერ უწყობს ხელს იმას რომ მათ ვერ შესძლეს თავიანთი ძალების კონსოლიდაცია და გაერთიანებული სახით დაპირისპირება საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. ვერც ინტერვენციის ხანაში და ვერც დღევანდელს მშვიდობიანს დიპლომატიურ ურთიერთობის პერიოდში. ამით სარგებლობენ ეს რესპუბლიკები და სწორედ ამ გარემოებასაც უნდა მიეწეროს ის რომ რესპუბლიკებმა შესძლეს თავიანთი არსებობის განმტკიცება.

დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე საბჭოთა ქვეყნებში. მათი სოციალ-პოლიტიკური წყობილება და გარდამავალი პერიოდის ეკონომიური სტრუქტურა ძირშივე სპობს რაიმე მსგავსი წინააღმდეგობის არსებობას, ამიტომ აქ არის სოციალური და ეკონომიური ბაზა კავშირის შესაძლებლობისა და ხანგრძლივობისათვის.

საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვამ ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ მსოფლიო მასშტაბით მებრძოლსა და დაპირისპირებულ ქვეყნებს კაპიტალისტურსა და საბჭოთა) ახასიათებს სურვილი და ცდა თავიანთი ძალების კოორდინაციისა, გაერთიანებული ფრონტით გამოსვლისა. ეს არის საერთო ტენდენცია ორივე მოპირდაპირეთა, რომელიც ერთნაირად ახასიათებს მათ. მაგრამ მაშინ, როდესაც (კაპიტალისტურ ქვეყნებს დრონის შინაგანი წინააღმდეგობა და მათი სოლიდარობის პოლიტიკა მარცხით თავდება, საბჭოთა წყობილება თავისუფალია ასეთი წინააღმდეგობისაგან და მათში შესაძლო ხდება სოლიდარული კავშირის ხანგრძლივი განმტკიცება.

რას გვეუბნებიან ყოველივე ეს ფაქტები, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენებს? როგორი უნდა იყოს თანამედროვე ძალთა დაპირისპირების ასეთი გაგება, ჩვენი პარტიის პოლიტიკა საბჭოთა რესპუბლიკების დაკავშირების საქმეში?

ჩვენ ვდგევართ საერთაშორისო რევოლიუციის განვითარების ნიადაგზე. მთელი ჩვენი პროგრამა და პოლიტიკის ხაზი აგებული არის იმ დებულებებზე, რომ თანამედროვე შეჯახების პროცესში საერთაშორისო კაპიტალიზმი დაემხობა და ნიადაგი ჩაეყრება საერთაშორისო სოციალისტურ მშენებლობას. ჩვენი პროგრამა საერთაშორისო რევოლიუციის ორიენტაციისა ჩვენმა პარტიულმა ყრილობამ, მთელმა ჩვენმა პრესამ და აზროვნებამ დაამტკიცა, რომ თანამედროვე საერთაშორისო სოციალურ დაპირისპირების ხანაში საბჭოთა რესპუბლიკები და კომინტერნი არიან ის ხერხემალ მაგარნი მებრძოლნი ძალები, რომელთაც შეუძლია კეთილ საიმედოთ ჩაატარონ მძიმე ტვირთი სოციალისტურ რევოლიუციისა. საკითხის ასე დაყენება ჩვენ პირდაპირ გვიკარნახებს ლოღიკურ აუცილებლობით, რომ ამ ძალების კონსოლიდაცია და მობილიზაციას შევუწყოთ ხელი. ვინც სთქვა პირველი მან მეორეც უნდა სთქვას.

მებრძოლ ძალთა მობილიზაცია საერთაშორისო რევოლიუციის უმაღლესი კანონია, ვინც საერთაშორისო რევოლიუციის ნიადაგზე დგება მან მისი კანონიც უნდა გაატაროს ცხოვრებაში, პირნათლად დაიცვას იგი. ამ გვარად ჩვენთვის ფედერაცია (კავშირი) თანამედროვე პირობებში მარტო საერთაშორისო სოციალურ ცხოვრების ევოლიუციის შედეგი კი არ არის. არამედ საერთაშორისო რევოლიუციის კანონია, აუცილებელი იარაღია სოციალისტური რევოლიუციის გასამარჯვებლად. იგი მარტო ერთაშორის კავშირის რეგულიატორი კი არ არის, არამედ საერთაშორისო რევოლიუციის ლოკომოტივიც. ასე ესმოდა ჩვენი პარტიის მთავარ კომიტეტს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საკითხი როდესაც ის წამოაყენა 1922 წლის თებერვლის თვეში სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე, როდესაც ირჩეოდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხი. ამ ყრილობაზე ჩვენ უარვყავით ამიერ კავკასიის ფედერაციის კავშირის საჭიროება და წამოვაყენეთ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, რომელშიაც შევიდოდენ ჩვენი ერები დამოუკიდებლად. მაშინ კომპარტიამ ეს ჩვენი წინადადება არ მიიღო, დღეს კი ეს საკითხი მორიგ საკითხად სდგას ჩვენს წინაშე. ამით მტკიცდება, რომ ჩვენ სწორი პოლიტიკური პროგნოზი გავუკეთეთ არსებულ პირობებს და მიუთითეთ იმთავითვე მმართველ პარტიას, რომ ბოლოს და ბოლოს მას აუცილებლად დასჭირდება ამ საკითხის პრაქტიკულად დაყენება და მოგვარება.

დღეს ეს ასეც მოხდა. მაგრამ განსხვავება ჩვენსა და კომპარტიის შორის მაინც დიდი დარჩა. ჩვენ ერთნაირად გვესმის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საჭიროება და განმტკიცება. ხოლო ამ დაკავშირების ფორმები და საშუალებანი სხვა და სხვა გვარად გვესმის. ამ შემთხვევაში ჩვენ სხვა და სხვა საზომით გამოვდივართ და ამიტომაც დასკვნა სხვა და სხვა გვარი გვაქვს.

ერთი დიდი საკითხი, რომელიც ჩვენ გვანსხვავებს კომუნისტებისაგან ეს არის ეროვნული საკითხი. ამ პრობლემის გარშემო მარქსისტებმა და მათ შორის კომუნისტებმაც მრავალი პრინციპიალური დათმობა განიცადეს, მაგრამ კითხვის პრაქტიკულად გადაწყვეტის დროს მაინც საგრძნობ კოჭლობას განიცდიან. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის განმტკიცებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული საკითხი და მისი მოგვარების საქმეც. სწორედ აქ იჩინა თავი საგრძნობლად მათმა კოჭლობამ, რაც იმაში გამოიხატება, რომ კავშირის შემადგენელ ელემენტებად ეროვნულ ერთეულებს კი არ ღებულობენ, არამედ ადმინისტრატიულ-პოლიტიკურსა და უმთავრესად სამეურნეოს. ეს ელემენტები კი ძლიერ ხშირად გამოდის ეროვნული ერთეულის საწინააღმდეგო პოზაში. სამეურნეო და საადმინისტრაციო ერთეულების შექმნა ძლიერ ხშირად აიძულებს ამ მეთოდების მომხრეებს ეროვნული ზღუდეების დაშლასა და სხვა გვარად ავების სადემარკაციო ხაზის მონახვას. ამაში ჩვენ არ შეგვიძლია გავყვეთ კომუნისტებს სავსებით და არ აღვნიშნოთ ყველა ის შეცდომები, რომელსაც ჩადიან ამ საკითხის გადაჭრის დროს.

მაგრამ სანამ ამ საკითხებს შევეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლე პრინციპიალური საკითხის ექსკურსია გავაკეთოთ თვით დაკავშირების ფორმების გამორკვევის საკითხში.

(გაგრძელება იქნება)

— **უმუშევართა გაწმენდა.** უმუშევართა რიგების ზედმეტ შრომასთან არავითარი კავშირის მქონე ელემენტებისგან განტვირთვის გამო დაიწყო 27 ნოემბერს უმუშევართა განწმენდა. განწმენდაზე 27 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე გამოცხადდა 1053 უმუშევარი—626 მამაკაცი და 427 დედაკაცი.

— **უმუშევართა შვილების სწავლის ფულიდან განთავისუფლება.** გამოკვლევის შემდეგ შუამდგომლობით განთავისუფლებულ იქნა სწავლის ფულიდან 61 უმუშევარი, ხოლო უარი ეთქვა 13 და გამოსაკვლევია 15.

### კონფლიქტები

საკონფლიქტო განყოფილების მიერ კონფლიქტების რიცხვის გადიდების გამო მოწყობილ იქნა საკონფლიქტო კომისიის 2 სესია. ნოემბერში გაირჩა 32 კონფლიქტი, აქედან 23 კონფლიქტი ეკუთვნის პროფკავშირების წევრებს. ზემოხსენებული 32 კონფლიქტი შემდეგნაირად ნაწილდება: 15 კონფლიქტი ვრცელდება სახელმწიფო-წარმოება-დაწესებულებაზე, 3 საზოგადო დაწესებულებაზე, ხოლო დანარჩენი 14 კერძო ფირმებზე. ამათში 22 კონფლიქტი გაირჩა საკონფლიქტო წესით, 5—შეთანხმებით და 5—უშედეგოდ. 22 კონფლიქტი გადაწყდა მუშების სასარგებლოდ.

— საკონფლიქტო განყოფილების მიერ გამომუშავებულ იქნა ცირკულიარი,—შრომის მოწესრიგების დარგში პროფკავშირების ახალ დებულების გამო, მათი კომპეტენციიდან ისეთი კონფლიქტების გარჩევის ჩამოშორების შესახებ, რომლებიც თხოულობენ ადმინისტრატიული წესით გარჩევას.

## ქუთაისიდან ჩამოტანილ სამწერლო განძეულობის ჩაბარება საქართველოს მუზეუმისათვის

16 დეკემბერს, მწიგნობარმა ის. კვიცარიძემ უკვე ჩამოიტანა ტფილისში საგაზეთო კანტორა „იმერეთში“ უკანასკნელ 25 წ. განმავლობაში ნაგროვები სამწერლო განძეულობის ერთი დიდი ნაწილი, რომელშიაც არის:

1. დიდი და პატარა სურათები ქართველი ძველი და ახალი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა ჩარჩოებში და უჩარჩოდ სულ 104 ცალი.
2. ძველი დ ახალი გაზეთები ტფილისისა: „დროება“, „ივერია“, (18 წ.) „ცნ. ფურცელი“, „შრომა“, „მეგობარი“ (1906 წ.), „კვალი“ (10 წ.), „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „ეშმაკის მათრახი“, „ფასკუნჯი“, „ნიშადური“, „საქართველო“ და სხ. 1881—1910 წლებისა და ქუთაისური გაზეთები: „კოლხიდა“, „იმერეთი“ და „ერი“; ჟურნალები: „ფონი“, „ცისკარი“, „მეოცნებე ნიამორები“, „შვილდოსანი“, „არმაზი“, „ყანწები“, „ლეილა“, „ქიმერიონი“, „კრებული“, „სკოლა“ და „ოჯახი“; ალმანახები: „მაშხალა“, „ჯოჯოხეთის მაშხალა“, „შურდული“, „ქინკა“, „ნემსი“, „სადგისი“, „ქარიშხალი“, „ალიაქოთი“, „თეატრი“ და სხ. სულ 120 ც.
3. წიგნები რუსული.
4. ძველი და ახალი რამდენიმე სამუზეუმო იშვიათი ნივთები.
5. იშვიათი საუნჯე ქართული სიტყვიერებისა, კალიგრაფიული ხელნაწერი—„ლექსიკონი“—საბა-სულხან ორბელიანისა, დავით რექტორის სამეცნიერო შენიშვნებით.

მთელი ეს განძეულობა არის მოთავსებული 4 დიდ ყუთში, წონით 20 ფ. ზემო ჩამოთვლილი განძეულობა ის. კვიცარიძემ ჩააბარა 16 დეკემბერს საქართველოს მუზეუმის დირექტორს ნოე ყიფიანს, ხოლო მეორე დღეს—კვირას ის. კვიცარიძის წინადადებით მუზეუმისათვის ჩაბარებული განძეულობა დაათვალიერა განათლების განყოფილების კომისარმა ამხ. დ. კანდელაკმა, მისმა თანაშემწემ ვუკოლ ბერიძემ და ფინანსთა კომისარმა ამხ. ბ. ბიბინეიშვილმა, რომელთა თანადასწრებით მუზეუმის ერთ-ერთ გამზადებულ ზალაში გადაღებულ იქმნა სურათი ყუთებში ჩაწყობილ განძეულობისა, ხელნაწერ „ლექსიკონის“ და დამთვალიერებელთა.

შემდეგ ვ. ბერიძემ გაასინჯა და აუხსნა მიწვეულ სტუმრებს ხელნაწერი საბას „ლექსიკონისა“, რომლის შეძენა მათ იქვე გადასწყვიტეს და დაავალეს ვ. ბერიძეს ამ ხელნაწერის ღირსების შემფასებელი კომისიის მიწვევა მეორე დღისათვის და ამ გვარივე კომისიის არჩევა სამწერლოსათვის ის. კვიცარიძის განძეულობის შესაფასებლად, როცა იგი, საბოლოოდ დაამთავრებს მუზეუმისათვის მის ჩაბარებას.

სტუმრებმა აქვე გამართეს მოლაპარაკება მუზეუმის დამთავრების შესახებ. ამხ. დ. კანდელაკმა განუმარტა ამხ. ბართლომე ბიბინეიშვილს და ვ. ბერიძეს, რომ ჩვენი ხარჯთ-აღრიცხვით მუზეუმის 30 ზალის გაკეთება, დაჯდება 25 მილიარდი, მაგრამ ამ თანხას ერთბაშად როდი მოვითხოვთ თქვენი უწყებისგან, არამედ ნაწილობრივ, ისე რომ აქ მუშაობა განუწყვეტლივ, მუდამ უნდა სწარმოებდეს. ამ მოკლე ხანში, 2—3 თვეში იგი უნდა დამთავრდეს, შიგნით მოეწყოს და იქ მთელი მუზეუმის განძეულობა, ქონება სისტემაში მოვიყვანოთ, გაიშალოს და მოთავსდეს, რათა საზოგადოებამ იმით ისარგებლოს, ხალხს ამ განძეულობაზე ხელი მიუწვდეს.

ამნაირათ ეს ძლიერ საჭირო და საჩქარო საქმეა და ამიტომ თქვენმა უწყებამ ენერგიულად უნდა შეგვეწყოს ხელი, დაგვეხმაროს, მიმართა მან ამხ. ბ. ბიბინეიშვილს, რომელიც დაბეჯითებით დაჰპირდა ამისათვის ნაწილობრივად თანხების გაღებას და სათანადო დახმარებას.

ახთ.

## მოწერილი ამბები

### ტობანიერის თემი

ტობანიერის თემი დიდ და მდიდარ თემად ითვლება ქუთაისის მაზრაში. ბუნებას ის დაუჯილდოებია ყოველ მხრით. მისი მდებარეობის ნახევარი არის გორაკი და ნახევარი კი ჭალებია. მის ადგილზე საუცხოოდ ხარობს ყოველგვარი ჭინახული და ხე—ხილები. თუ ულმობელი სტიქია არ დაატყდა თავს, მისი მოსავლის ნახევარი გადის ამ თემის საზღვრებიდან. უსათუოდ ამ მდებარეობამ იქონია გავლენა ამ თემის მცხოვრებლებზე და ისინი წინ წასწია კულტურულ განმანათლებელ სფეროში.

უკვე დიდი ხანია აქ არსებობს სასწავლებლები, რომელნიც ყოველწლობით ფართოვდებიან. დიდი ხანია მცხოვრებმა იგემეს სიტკბოება და სარგებლობა სწავლისა და დაეწაფნენ მას.

მრავალი ინტელიგენცია, საშუალო და უმაღლეს კურს დამთავრებულები არიან ამ თემიდან და ზოგიც უნივერსიტეტის კათედრებსაც ამშვენებენ.

აი სულ ყველა ეს არის გარეგნული სახე. მაგრამ შინაური სახე, შინაური მდგომარეობა არის სავალალო. სასწავლებლებს შენობები ძველი და დამტვრეული აქვს. სწავლა სწარმოებს ძველს 90-ან წლებში აგებულ შენობებში და დღევანდელმა მესვეურებმა ვერ შეიგნეს რომ სასწავლებლების ზრდასთან საჭიროა შენობების ზრდაც. უმაღლეს დაწყებით სასწავლებელი, ეხლანდელი მთლიანი შრომის სკოლა აქ გაიხსნა 1916 წელს, რომელიც არის თემის ცენტრში, პერიფერიებში კი 7—8 შრომის სკოლა არის ყველა ცუდ და არა გიგიენურ შენობებში, მოთავსებული. თვით ცენტრში არის ორი ძველი ხის შენობა, რომელშიაც მხოლოდ ხუთი ოთახი გამოდგება საკლასოთ. და შიგ ათი კლასი მეცადინეობს ორ წყებად (დილას და სადამოს). ეს არა ნორმალური მოვლენა არის სწავლა-აღზრდის სფეროში; მრავალჯერ დაგმობილი იყო და არ იქნა არ ეშველა შენობას აგება.

მენშევიკების დროს დაიწყეს შრომის სკოლის შენობის ასაგებად; გეგმა და ყველაფერი საჭირო მოიმარაგეს, საძირკველიც ჩაედგა, მაგრამ მათმა უსისტემობამ, დაუკვირვებლობამ საქმე სისრულეში ვერ მოიყვანა ფულები განიავდა და ბალავერს არ აშორებია ხალხის მიერ გაღებული რამოდენიმე ათასები.

დღევანდელი მესვეურების პასიურობაც ნათელია. ძველ შენობებს და საუნჯეებს არ აქვს სათანადო მოვლა, თორემ ახალს ვინ დაეძებს. სკოლის ოთახებს არ აქვს მინები, ღუმელები; მაგრამ ღუმელი რათ უნდა, შეშა არ არის. მეტად ცუდ პირობებში არის აქ სასწავლებლები. ნუ თუ შესაძლებელია მეცადინეობა ზამთრობით ისეთ ოთახებში, რომელსაც მინები არა აქვს და ცეცხლი არ ინთება?

პირდაპირ წარმოუდგენელია, მოწაფეები და მასწავლებლები ცახცახებენ სიცივით. 3—4 მოწაფე ჯდება ერთად გათბობის მიზნით, მაგრამ წიგნი მაინც უცახცახებს ხელში; წერა თითქმის სულ შეუძლებელია, თუ მზემ არ დაეხმარა სიცივეში მყოფთ

ყველა ამ საქმის მოსაგვარებლად ექვსი თვის წინად თემის საბჭომ გადასდო საკმაო თანხა,—საგრამ ეს თანხა ვერ მოხმარდა თავის დანიშნულებას,—ალბად დაუდევრობის გამო. შეშის შესახებ აღმასკომმა მისცა წინადადება სკოლის ადმინისტრაციას,—დაიბარეთ მოწაფეთა მამები და საფონდო ტყეში შეშა მოაჭრევინეთო. როდესაც დაიბარეს მოწაფეთა მამები და უკანასკნელნი არ გამოცხადდნენ შეშის მოსაჭრელად, აღმასკომმა მიმართა სკოლის ადმინისტრაციას—შეშა არ მოგეცემათო.

საკვირველი უნდა იყოს ამგვარი განცხადება, ჩვენ გვგონია მასწავლებლები იმისთვის არის მოვლენილი, რომ მოწაფეები ამეცადინოს და არა შეშა აჭრევინოს ტყეებში. ბევრ სხვა უსისტემობას და დაუდევრობას აქვს ადგილი ამ თემში, რაც მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე.

აქ არის ერთი მდინარე, რამაც საგრძნობი მოდიდება იცის წვიმების დროს და რამოდენიმე ასეულ საჟენს იკავებს სიგანეთ, მაშინ შეუძლებელია ერთ ნაპირიდან მეორეზე გადასვლა. სასწავლებლები და ბაზარი არის ამ მდინარის ნაპირზე გაკეთებული. უმეტესი ნაწილი, როგორც მასწავლებლების მოწაფეების და სხვა მოხელეების არის ამ მდინარის გაღმა, ამისათვის კარგი ხიდის უქონლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან. წელს მოინდომა აღმასკომმა ბოგირის გაკეთება ამ მდინარეზე რომლის განი უნდა ყოფილიყო ოთხი არშინი და სიგრძე რამდენიმე ათეული საჟენი. საამისო ხე-ტყე დაამზადეს, მაგრამ გაკეთებას არ ეშველა არაფერი. ხეები არის დაწყობილი ამ მდინარის ნაპირზე, და ერთხელ შემოდგომაზე მოსტაცა მდინარემ რამდენიმე ხე ადიდების დროს და გაუყენა გზას ფოთისაკენ.

ყველა ზემოხსენებული საქმეები, რომელნიც დაჩქარებით უნდა გაკეთდეს,—უცდიან ენერგიულ მშრომელს.

Gbablico.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს,

რომ 20 დეკემბერს ტფილისის სალიკვიდაციო საწყობში

(დიდუბე, გორის ქ.)

შესდგება აუქციონით გაყიდვა

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სხვადასხვა სადგურებზე მოუთხოვლელ ტვირთების, ბაგაჟის, და აგრეთვე უდოკუმენტო ტვირთების, ნახულ საგნების და დავიწყებული ნივთების ;;

### საჯარო ვაჭრობა მეორედ

გაუყიდველად დარჩენილ ტვირთებზე ინიშნება იქვე 27 და 28 დეკემბრისათვის. ამის ქვევით აღნიშნულია №№ ბაგაჟებისა. დაწვრილებითი ცნობები კი გასაყიდი ტვირთების კუთვნილების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს ტფილისის სალიკვიდაციო საწყობში; საჯარო ვაჭრობის დღეს კი—მის დაწყებამდი.

### 1. მოუთხოველი ტვირთები

ქვიტანციების აღნიშვნით №№ 4553—ბადლერი, 59342—ქიქოძე, 25871—ავტო-ტრანსპორტი, 21403—ადრესი არაა აღნიშნული, 15952—უკრაინის ბამბის მრეწველობა.

### 2. მოუთხოვნელი ბაგაჟი.

№№ 4980—საჯდახო, 3652,109712,108673,109618, 4587, 5033, 4905, 4802 მოსკოვი, 9827 და 9826—განჯა, 108768—მოსკოვი, 2384—შემახან; 57637, 57405 6746—სამტრედია; 2030—მოსკოვი; 646—სოდაშენი; 63783—ტფილისი; 6625—1 სამტრედია; 55474—ბათომი.

### 3. უდოკუმენტო ტვირთები.

მათი სახელის აღნიშვნით: 1437—თივის სათიბები, 124—მინაური ავეჯი, 1997—ქერი, 15605—ზეთი, 123—ჩემოდანი, 121—რკინის ზანდუკი; 1—ბრინჯი, 3978—ხორბალი, 4156—ფიცრები; 4074—ბრეზენტები; 75567—სამკელი მანქანები; 1435 და 1436 სათიბი და სამკელი მანქანები და 208—სხვა და სხვა.

## „გესმათ ჩემი ნაყვარი“

ამ დღეებში ჩვენს დედა-ქალაქში უნდა გაიხსნას, საქართველოს აფთიაქებში მომუშავეთა კონფერენცია... საქართველოს თავისუფლების ხანში ეს კონფერენცია მეორეთ იკრიბება... პირველ ყრილობას არ ქონდა ფართე ხასიათი. ის არც წმინდა პროფესიონალური იყო... იქ მხოლოდ მოსამსახურე ფარმაცევტთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ ფარმაციის სპეციალ საკითხთა გადასაწყვეტად.. საკითხები კი ისეთი წამოიჭრა, რომ მის გადასაწყვეტათ საჭირო იყო ფართე კონფერენციის მოწვევა; მასთან აფთიაქები მაშინ კერძო წარმოებას წარმოადგენენ და დამქირავებელთა და დაქირავებულთა ურთიერთობის საკითხი ფრიად მწვავედ იდგა., მაგრამ მაშინდელმა ორგბიურომ მას ტენდენციური და ცალმხრივი ხასიათი მისცა; რითაც კონფერენციის ფართე მასებთან დაკავშირება დროებით შეფერხდა.. იმ დროს ფარმაცევტთა კორპორაციის ყველა მიმართულების წარმომადგენელმა ფრიად აქტიური მონაწილეობა მიიღეს, საჭირ-ბოროტო საკითხების გადაწყვეტაში.. ამ საკითხთა შორის ფარმაცევტიული ცენტრისა და ადმინისტრაციის შექმნის საკითხს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ქონდა. რადგან ამ დარგში ეს პირველი ნაბიჯის გადადგმა იყო. და ეს ნაბიჯი ფარმაციის ექიმთა აპეკისაგან განთავისუფლებას ნიშნავდა.. ადმინისტრაციისა და ცენტრის ცალკე დარგათ ჩამოყალიბება რევოლიუციის მონაპოვარი იყო, მაგრამ ამ რევოლიუციის ყალბათ გამგები მართველი წრეები ამ საქმეს ხელს უშლიდნენ.. სამწუხაროდ ფარმაცევტთა პირველ კონფერენციაზე ადგილი ქონდა პარტიულ და ვიწრო ჯგუფურ ზრახვათა გამომჟღავნებს.. კორპორატიული და ცეხური თვალსაზრისით, მიუდგომლად საკითხთა გამშუქებელი ფრიად ცოტანი აღმოჩნდნენ.. ამ მოვლენამ თავისი მახინჯი დაღი დაასვა მაშინდელი კონფერენციისა და ცენტრის მუშაობას... თითო ოროლა უპასუხისმგებლო ელემენტთა უზურპაციამ დაასამარა კონფერენციის მიერ არჩეული ცენტრი და მით საფარმაციო დარგში სასურველი რეფორმები დღევანდლამდი მიიჩქმალა..

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამ, ჩამოაყალიბა საფარმაციო ადმინისტრაცია, ჯანმრთელობის კომისარიატის, განყოფილების სახით.. მაგრამ დიდი ხნის სანუკვარი დამოუკიდებელი უწყება კი უნაკლოთ ვერ განხორციელდა; რახაც ეჭვს გარეშეა უარყოფითი გავლენა აქვს ფარმაციის რაციონალურად მოწყობაზე..

თუ დღეს ცენტრი ასე თუ ისე ახერხებს თავის დარგში უშუალოდ რაიმე ნაბიჯის გადადგმას; პროვინცია სრულიად მოკლებულია ელემენტარულ ავტონომიასაც და ი სამაზრო ჯანმრთელობის გამგეების ხელშია ფარმაცია და ფარმაცევტი.. ამ ხაბაზთა ხარაზობას უკვე მოყვა თავის სამწხარო შედეგი;—სოფლის რაციონალურ აფთიაქის, კერძო ხელში სახმარათ გადასვლა ამ აფთიაქების იჯარით გაცემის დროსაც სამაზრო ექიმის სიტყვას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს და მოიჯარადრეც დიოგენის ფარნით ეძებს ამ ექიმთან კარგ განწყობილებას, რაც საუკუნით ძირს სცემს ფარმაციისა და ფარმაცევტის ავტორიტეტს.

რაც შეეხება, ქალაქის აფთიაქებს,—მასში მოსჩანს ნაციონალიზაციის მთავარი ატრიბუტები. თუმცა აქაც საჭიროა პატარა სალაშინი, რომ აფთიაქში შექმნეს იმ სიმპატიურ საბჭოთა დაწესებულებათ, რომელსაც მიზნათ აქვს სნეულთადმი უანგარო სამსახური.

მომავალ კონფერენციას, მრავალი საკითხი აქვს რადიკალურათ გადასაჭრელი, ამიტომ საჭირო იყო მას სათანადო სერიოზობით მოვპყრობოდით, ქართველი ფარმაცევტები... აფთიაქში მომუშავეთა იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელებს მართებდათ თავის გამოსვლებში სუბიექტურ ელემენტთა დათმობა და საერთო საქმისათმი, მიუდგომელ, საზოგადო თვალსაზრისით მიდგომა.. საჭირო იყო დელეგატთა საარჩევნო კრებებზე და კონფერენციის სხდომებზე ვიწრო პირადული ფარ-მუზარადები კარებთან დასტოვონ და უანგარო საზოგადო საქმისადმი სიმპატიით გამსჭვალული შეუდგნენ საერთო და სასარგებლო საქმეს. სამწუხაროდ ეს აზრი ნაკლებ ასულდგმულებდათ წარსულ კვირის და პარასკევის დელეგატთა არჩევნებზე. აქ მეორდებოდა ის პარტიულ ჯგუფური კინკლაობისა და ძალდატანებითის მეთოდები, რომელმაც ვიმეორებ სამი წლის წინათ დაასამარა საფარმაციო საქმე ამხანაგებს სრულიად დაავიწყდათ ის, რომ პროფკავშირები ისეთი მუშაოჯახებია სადაც ურყევი და განმტკიცებული უნდა იყოს სულიერი და ორგანიზაციული სოლიდარობა. უბედური და დღე მოკლეა ის ოჯახი სადაც ავადმყოფური თავმოყვარეობა და პირადი თუ გინდ ვიწრო პარტიული, პატივ მოყვარეობა სჭარბობს, საზოგადო საქმისადმი სიყვარულს, გაერთიანებისა და სოლიდარობის სურვილებს.

ამ სენმა დაავადმყოფა ზნეობრივათ და ორგანიზაციულათაც მენშე-

ვიკურ საქართველოს პროფკავშირები.. იმ პოლიტიკო-ეკონომიურ სიტუაციაში, პროფკავშირებს არც ქონდა იმდენი როლი დაკისრებული, რასაც მას საბჭოთა წყობილება აკისრებს ამ წყობილებაში პროფკავშირებს დიდი აღმშენებლობითი მუშაობა აქვთ დღიურ წესრიგში დასმული. მშრომელთა რესპუბლიკის შენება მათ სოლიდარობასა და უნარიანობაზეა დამოკიდებული და დღეს, რომ მისმა ხელმძღვანელებმა ანგარიშების გასწორების მიზნით, სცადონ ძველი და ხაბიფათო გზით სიარული, ეს აშენების მაგივრათ მტვრათ აქცევს მუშათა ორგანიზაციებს ერთხელ და სამუდამოთ უნდა შევაგნოთ, რომ „სისხლი, სისხლით არ დაიბანება".. „ძველი, პარტიული შუღლით პროფორგანიზაციებში შემოჭრა და ჯგუფური მიზნების სამსახური ამ საერთო მუშურ ოჯახს დაანგრევს და ორივე მხარე გატეხილ გობთან დარჩება. ესეც, რომ არ მოხდეს ისეთი პროფკავშირები, როგორ ფარმაცევტებისა და მბეჭდავების არის, მუდამ სამაგალითო იყო დანარჩენ კავშირებისათვის—და—მაინცა და მაინც ვერაფერი აღმზრდელობითი ექსპერიმენტია პროფკავშირში ძალდატანება.

**კაპიტონ ძველი.**

## ხელოვნება

კვირას, დეკემბრის 17 ს ხელოვანთა სასახლეში ახალ მწერლობის კავშირის სხდომაზე კავშირის წევრმა პავლე ინგოროყვამ წაიკითხა მოხსენება—„რუსთველის გეოგრაფია". დარბაზი გაჭედილი იყო ინტელიგენტური აუდიტორიით. მოხსენება შესდგებოდა ორი ნაწილისაგან: პირველ ნაწილში მომხსენებელმა განიხილა „ვეფხვის ტყაოსნის" გეოგრაფიული კონცეპცია და ავტორის გაგება მსოფლიო გეოგრაფიულ მოხაზულობისა და მე 12—13 საუკუნის გეოგრაფიულ მეცნიერებასთან შედარებით დაამტკიცა, იგივეობა და პირდაპირი მსგავსება მათ შორის. მეორე ნაწილი იყო დასკვნა პირველის, აქ მომხსენებელი ზემოაღნიშნულიდან ამტკიცებდა, პოემის სიუჟეტის თარიღი ნამდვილად არის მე-12 საუკუნის დასასრული და მე-13 დასაწყისი. და გამოჰყავდა საერთო დასკვნა „ვეფხვის ტყაოსნის" ორიგინალობისა.

მოხსენებამ ორი საათი გასტანა და ყურადღებას იქცევდა საინტერესო ფაქტოლოგიით, მეორეს მხრივ იგი სავსებით მეცნიერული და აკადემიური იყო და ამდენათვე მოკლებული ცხოველმყოფელ პათოსს, რომლითაც ჩვეულებრივ ხასიათდება სალიტერატურო სხდომები.

მოხსენებას კამათი და შეკითხვები არ გამოუწვევია.

## ღია წერილი

### სავლე აბულაძეს

წარსულ აკადემიურ წელს თქვენ ხელმძღვანელობდით სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდ. „ლიტერატურულ წრეს". წელს ეს წრე კვლავ განახლდა უფრო ფართო მიზნებით, რისთვისაც გთხოვთ ყოფილი „წრის" ბეჭედი და ყოველგვარი ქონება გადმოსცეთ ახალ წრეს „ისტორიულ-ლიტერატურულს" რომელიც არსებობს პედაგ. ფაკ. სიბრძნის მეტყველების განყოფილებასთან. ბეჭედი და ქონება უნდა გამოუგზავნოთ წრის წევრებს: ალ. ბარამიძეს ან გიორგი თავზარაშვილს თუ აღნიშნული ნივთები თქვენ არა გაქვთ გვაცნობეთ ვისთან ინახება იგი.

**წრის გამგეობა.**

## წერილი რედაქციის მიმართ

ამ ორი წლის წინად ვიღაცამ გადმომცა განსახილველად გამოკვლევა შესახებ „ვეფხის ტყაოსნის". გამოკვლევა: საკმაოდ ვრცელი (რუსულად). სამწუხაროდ დამავიწყდა, თუ ვინ გადმომცა, და ისიც თუ ვინ იყო კვლევის ავტორი (გამოკვლევას არ აწერია). ამ დღეებში ვნახე ბარათი (ალბად გამოკვლევასთან თუ იყო), რომლიდანაც ცხადდება, რომ ავტორი დავით ჩხოტუა არის ზუგდიდში მცხოვრები. ვთხოვ გადმომცემს (თუ აღმოჩნდა) და ავტორს: მაცნობონ მისამართი ნაშრომის დასაბრუნებლად. გამოკვლევა საინტერესოა ქართული ხალხური ეპოქის მიხედვით. უმჯობესი იქნება ქართულად დაიბეჭდოს.

**გრიგოლ რობაქიძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

## ნინო დავით წერეთლის ასული
## ჩოლოყაშვილისა

გარდაიცვალა 16 დეკემბერს, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძმები სიმონ, გიორგი და კონსტანტინე წერეთლები, და ალექსანდრა ერისთავისა, დისწული ოლღა ვაჩნაძისა და დეიდაშვილი მარიამ მაჩაბელი. პანაშვიდები დანიშნულია ყოველ დღე საღამოს 6-ს საათზედ; გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ბებუთოვის ქ. № 37) ხუთშაბათს 8 ა. თ. დილის 10 საათზედ ქაშვეთის ეკლესიაში 1—1

---

დოქტორი **გ. მეგრაბიანცი**
„უ. ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"
შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა. რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.
იღებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. სად.
ბებუთოვის ქუჩა № 23. 35

## საქართველოს სახალხო ბანკის გამგეობა

თანახმად ბანკის საბჭოს დადგენილებისა 12 დეკემბრის თარიღით ამით აცხადებს კლიენტების საყურადღებოდ, რომ იმ პირთ, ვინც გადააცილა ვალის შემოტანის დრო, შეუძლიათ ვალი გადაიხადონ ქართული ბონებით ამ წლის ოცდა ათ დეკემბრამდე. ამის შემდეგ კი, თანახმად მთავრობის დადგენილებისა № 61 თარიღით, მათ ვალი გადახდებათ ოქროს იმ კურსით, რომელიც იყო ვალის გასვლის დღეს.

ეს განკარგულება არ ვრცელდება იმ კლიენტებზე, რომელთაც მიცემული აქვთ ბანკისადმი ვალდებულება ოქროთი ვალის გადახდის შესახებ.

4—2 209 **სახალხო ბანკის გამგეობა.**

## შეჯიბრება

### ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. რესპუბლიკების რკინის გზათა სამმართველოსაგან.

ამით ცხადდება, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან (ტფილისი, ვაგზლის ქ. № 1, ოთახი № 44) 1922 წ. 20 დეკემბერს საქართველოს რკინის გზებზე

**ბათომ-ფოთი და კახეთის ხაზიდან სალოღლამდე და სანაინამდე, და ა. წ. 25 დეკემბერს აზერბეიჯანის რკინის გზებზე სალოღლიდან არამლიანსკის სადგურამდე დანიშნულია**

შეჯიბრება ტვირთზიდვის—დატვირთვის გადმოტვირთვის, ხელახალი დატვირთვის სამუშაოების და ბარგის და ტვირთების

**ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ (насильщик) ᲓᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲘᲯᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲪᲔᲛᲐ 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲜ 1923 Წ. 31 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ.**

ის პირები, რომელთაც სურთ აღნიშნულ სამუშაოების აღება, აძლევენ ამის შესახებ წერილობითი განცხადების დაბეჭდილ კონვერტებში შემდეგი ზედწარწერით: „ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს შეჯიბრებისათვის ტვირთზიდვის სამუშაოების იჯარით აღებისთვის".

განცხადებათა შეტანის უკანასკნელი ვადა საქართველოსათვის თავდება 1922 წ. 20 დეკემბერს, აზერბეიჯანისათვის 25 დეკემბერს დღის 12 საათზე.

განცხადებებში შეჯიბრებაში მონაწილეს სახელის, მამის სახელის და გვარის გარდა უნდა იქნას აღნიშნული ასაღებ სამუშაოს ყოველგვარი პირობები და მათი გვარები.

ხელშეკრულების დადების დროს აღნიშნულ სამუშაოების კეთილსინდისიერად წარმოების და ტვირთების დაცვის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულობის დამდებმა უნდა შეიტანოს საწინდარი საქართველოსათვის—2,000,000,000 (ორი მილიარდი მანეთი ქართული ფულის ნიშნებით), ხოლო აზერბეიჯანისათვის—15,000,000,000 მან. (თხუთმეტი მილიარდი მანეთი, აზერბეიჯანის ფულის ნიშნებით), ან სათანადო ვალიუტა კურსის მიხედვით).

განცხადებასთან ერთად უნდა იქნეს წარდგენილი ქვითარი წინასწარი საწინდარის 20 პროცენტის შეტანის შესახებ.

საწინდარი იმ პირთა, რომელთაც არ მიეცემათ სამუშაოები ეკონომიურ ნაწილში ქვითარის წარდგენისთანავე დაუყონებლივ დაუბრუნდებათ უკანვე.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება რკინის გზათა სამმართველოს ეკონომიურ ნაწილში საქონელ სადგურის განყოფილებაში ოთახი № 60 ყოველ დღე დილის 10—1 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა.

4—2 **სამმართველო**

## სავალდებულო დადგენილება
## ქ. ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა
### (გადასახადთა ბიურო).
### № 3.

8 დეკემბერი 1922 წ. ქ. ტფილისი.

მიმდინარე 1923 წლის ვაჭრობის უფლების ნებართვის გაცემის მოსაწესრიგებლად და ყოველ-გვარის სახის ვაჭრობის სწორი რეგისტრაციისათვის, ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აძლევს შემდეგ წესს:

§ 1) ქ ლ. ტფილისის ფარგლებში მყოფი ყოველგვარი სავაჭრო სამრეწველო და სახელოსნო წარმოების მეპატრონენი მიუხედავად იმისა მეპატრონეებათ ითვლებიან კერძო პირები თუ სახელმწიფო, სამხედრო ან საზოგადო ორგანიზაციები ვალდებული არიან გატარდნენ რეგისტრაციაში ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადთა ბიუროში და მიიღონ ვაჭრობის უფლების ნებართვა.

§ 2) ყველა სავაჭრო სამრეწველო და სახელოსნო წარმოების მეპატრონე განცხადების ბლანკს იღებს აღმასკომის გადასახადთა ბიუროს აგენტთან და იხდის მასზე ხუთი ათას მანეთს, მთხოვნელს შეაქვს განცხადების ბლანკში საჭირო ცნობა და ყოველივე გადასახადის გასწორების შემდეგ იგივე აგენტი აძლევს შესაფერ ცნობებს განცხადების ბლანკზე, შემდეგ განცხადებას უდგენს ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიუროს ოთახი (№ 50 მე-3 სართული). გადასახადთა ბიუროს გამგის განკარგულებით ვაჭრობის ნებართვა მიეცემა მხოლოდ იმათ, ვისაც ყოველივე ქალაქის ანგარიში 1922 წ. 31 დეკემბრამდის გასწორებული აქვთ.

* **შენიშვნა:** 1) ვალდებულია გადასახადთა ბიუროს აგენტები სასტიკად დაიცვან ამა დადგენილების მე 2 მუხლი.

**შენიშვნა:** 2) იმ შემთხვევაში თუ რომ რომე პირი ვაჭრობს სურსათ-სანოვაგით, სანამდის გადასახადთა ბიუროს წარუდგენდეს ამ განცხადებას, წარუდგენს რაიონულ სანიტარულ ექიმს დასკვნისათვის.

§ 3) აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილების გამგეს ევალება გასცეს სათანადო განკარგულება რაიონულ სანიტარულ ექიმთა მიმართ, რათა ისინი აწარმოებდნენ საჭირო დასკვნას სისწორით და სისწრაფით.

§ 4) ვაჭრობის ნებართვა არ მიეცემათ არც ერთ მოქალაქეს, რომელიც აწარმოებენ ვაჭრობას ეზოს შესავალში, კიბეების ქვეშ და ფარდულებში, გარდა საბადო ადგილებისა.

§ 5) ქალ. ტფილისის მუშათა და გლეხთა მილიციის უფროსს ევალება:

1) 28 იანვარს გასინჯულ იქმნას ყველა სამოქალაქო და სამხედრო სავაჭრო სამრეწველოები და სახელოსნოები, სადაც არ აღმოჩნდება გადასახადთა ბიუროს მიერ გაცემული ვაჭრობა—წარმოების ნებართვა, დაუყონებლივ დაიხუროს და ამის შესახებ აცნობოს გადასახადთა ბიუროს.
2) ლიკვიდაცია უყოს ამა დადგენილების მე 4 მუხლში ნაჩვენებ სავაჭრო ადგილებს.
3) მეეტლეებს, მეურმეებს და ფეხზე მოვაჭრეთა მიმართ მიღებულ იქმნას ოქმის შედგენასთან ერთად დაპატიმრებაც.

§ 6) ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევენი მოქალაქენი დასჯილი იქნებიან ადმინისტრატიულ წესით—ორი თვით ციხეში დაპატიმრებით, ან 20,000,000 მანეთის ჯარიმის გადახდევინებით.

### ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲗᲐ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | უბანი | . | . | კანტორა ვერის აღმართი. |
| 2—3 | „ | . | „ | გრაფის ქ. № 14. |
| 4—5 | „ | . | „ | თათრის მოედანი, |
| 6—7 | „ | . | „ | ნუნუფაროვის ბაზარი. |
| 8—9 | „ | . | „ | ელისაბედის ქ. № 10 |
| 10—11—12 | „ | . | „ | ჩერქეზოვის ქ. № 87. |

### ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:

| | | |
|---|---|---|
| 1—2 | რაიონში | არღაზიანი, მელიქოვის ქ № 12. |
| 3—4 | „ | ტერ-დავთიანი ჩერქეზიშვილის ქ. № 34. |
| 5—6 | „ | ხატისოვი, ნიკოლოზის ქ. № 7 |
| 7—8 | „ | შენგელია, კახეთის ქ. № 2. |
| 9—11 | „ | ნათიშვილი, მამინტის ქ. № 5. |
| 10—12 | „ | ვეფხვაძე, რაზელის ქ. № 19. |

## ᲓᲦᲔ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐ

| | | |
|---|---|---|
| 15 დეკემბერი | 5—საათიდან | აბანოები, აგურხანები, ავეჯეულობის სავაჭროები, აფთიაქის მაღაზიები, არაყის და სპირტის საწყობები: |
| 18 დეკემბერი | 5—საათიდან, | ბაქები, ბამბის და მატყლის სავაჭროები, ბაყლები, ბრეზენტის და შტემპელების სავაჭროები და ბითუმად სხვა და სხვა საქონლის სავაჭროები. |
| 20 დეკემბერი | 5—საათიდან | გალანტერიის საქონლის სავაჭროები, გამომცემლები, გილზის პაპიროზის და ქაღალდების ფაბრიკა-სახელოსნოები, ბაღები, სადალაქოები და საპარიკმახეროები. |
| 22 დეკემბერი | 5—საათიდან | საზეინკლოები, სახარატოები, თამბაქოს მაღაზიები, ძველეულობით მოვაჭრენი. |
| 28 დეკემბერი | 5—საათიდან | თერძები, თესლებით სავაჭროები, თივის სავაჭროები, თუნუქის სახელოსნოები, იარაღის სახელოსნოები, |
| 30 დეკემბერი | 5—საათიდან | კალათების, ჩემოდნების და კოლოფების სახელოსნოები, კამფეტების ქარხნები და სავაჭროები, სხვა და სხვა ეტლები და ბორბლების სახელოსნოები. კვერცხით მოვაჭრენი. |
| 5 იანვარი | 5—საათიდან | ელექტრონის, მექანიკური და წყალსადენის სახელოსნოები, მექოთნეები, მეჩექმეები, დამზადებული ფეხსაცმელის სახელოსნოები, ხარაზები და ფინაჩები. |
| 7 იანვარი | 5—საათიდან | მწვანეულობით მოვაჭრენი, მჭედლები, ნავთით და ხახშირით მოვაჭრენი, ოპტიკური მაღაზიები, კოოპერატივი, კუბოს მაღაზიები, ლიმონათის ქარხნები, ლუდხანები, დამზადებულ ტანისამოსით მოვაჭრენი. |
| 12 იანვარი | 5—საათიდან | მეტლეები, მედროგეები, მეურმეები, ხილის მატაჩქეები, ყველა ფეხზე მოვაჭრენი, ფეხსაცმლის მწმენდავები. |
| 15 იანვარი | 5—საათიდან | საკინძო სახელოსნოების, ზეთით სავაჭროები, საკომისიო მაღაზიები, სამხედრო სამკაულთა სახელოსნოები და მაღაზიები სანთლის მაღაზიები. |
| 18 იანვარი | 5—საათიდან | სამრეცხაოები, სამღებროები, საპნით მოვაჭრენი, საკანცელარიო ნივთების მაღაზიები, სახერხი ქარხნები, დურგლები და ხუროები. |
| 19 იანვარი | 5—საათიდან | სტამბები, ლითოგრაფიები, ტყავის მაღაზიები, ფოტოგრაფიები, ფურნე-თონე, და პურით ვაჭრობა. |
| 20 იანვარი | 5—საათიდან | ქუდებისა და შლიაპების სახელოსნო სავაჭროები, ქვის მთლელები, ქუსლების და კალაპოტების სახელოსნოები, ღვინის საწყობები. |
| 22 იანვარი | 5—საათიდან | ღვინო გასტრონომიული სავაჭროები, ყასბები და ყინულის გამყიდველები. |
| 23 იანვარი | 5—საათიდან | შორნიკები და შეუნაგრეები, შუშების და სალებავების სავაჭროები, ჩოთქების მაღაზიები და სახელოსნოები, ხალიჩების მაღაზიები, ყავა ხანები და [illegible] საჩაიები. |
| 24 იანვარი | 5—საათიდან | საწვრილმანოები, წიგნის მაღაზიები, წისქვილები, ცივი სასმელებით სავაჭროები, ძეხვების ქარხნები, თევზით მოვაჭრენი და სასტუმროები. |
| 25 იანვარი | 5—საათიდან | ყვავილების მაღაზიები, ელექტრონის სადგურები [illegible] წუწუმების ქარხნები, შეშის საწყობები. |
| 26 იანვარი | 5—საათიდან | იუველირები და მესაათეები, პროექტორები, რესტორანები, სასადილოები, კლუბები და [illegible]. |
| 27 იანვარი | 5—საათიდან | ყველა დანარჩენი სავაჭროები და სახელოსნოები, რომლებიც ზემოთ არ არიან აღნიშნული. |

ტფილისის ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე **ლ. დუმბაძე.**
საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილე **მ. ზახ**
გადასახადთა ბიუროს გამგე **თაყაიშვ**

№ 211 3—2

ტირაჟი 1930

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2